899.962.1 (09)
ჯ-55

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ხათუნა მემანიშვილი

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მუშაობის ინდივიდუალური მანერა და სტილი

(ადრეული მოთხრობების მიხედვით)

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო მინაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ჯოლოგუა (10.01.10)

2.. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ბელა წიფურია (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის 19 მარტს 14.00 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01№5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე
მისამართი: 0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 0143 თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის 11 თებერვალს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ნ. ტაბიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა.</u> ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი ინტერესი ადრე ძირითადად მწერლის მსოფლმხედველობის საკითხების გარკვევით იყო განსაზღვრული. მხატვრული ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი დახასიათებაც არსებითად ამ მიზანს ემსახურებოდა.

მოგვიანებით თანდათან გამოიკვეთა საკუთრივ ლიტერატურისმცოდნეობითი ინტერესები. ყურადღება გამახვილდა ილიას მხატვრული სიტყვის ძალაზე, მისი, როგორც ხელოვანის დახასიათებაზე.

ამგვარი კვლევა-ძიების აქტუალობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდა სადღეისოდ, როდესაც ქართველ საზოგადოებაში კოსმოპოლიტობის საფრთხის არსებობის პირობებში ეროვნულ ცნობიერებას საშიშროება დაემუქრა. ასეთ ვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია კვლევა-ძიების გაფართოება ქართული მწერლობის, ქართული მხატვრული სიტყვის ზემოქმედების ძალის წარმოსაჩენად, იმ ლიტერატურისმცოდნეობითი ტრადიციების დასაცავად და გასაგრძელებლად, რაც ამ თვალსაზრისით მოგვეპოვება.

მეტყველების სტილის საკითხები ლიტერატურისმცოდნეობით პრობლემათა ცენტრში დგას. მწერლის მხატვრული სიტყვის მეტი სიღრმით გააზრება, მკვლევართა აზრით, მომეტებულად სტილის კვლევის სიბრტყეზე ჩანს შესაძლებელი.

ბუნებრივია, ინტერესი მით უფრო იზრდება, როცა სტილის თვალსაზრისით შესწავლის ობიექტად იქცევა ისეთი დიდი მწერლის შემოქმედება, როგორიც ილია ჭავჭავაძეა.

<u>კვლევის საგანი და მიზანი.</u> ნაშრომში მიზნად ვისახავთ საყოველთაოდ გაზიარებულ სამუშაო ცნებებზე დაყრდნობით კვლევის საგნად ვაქციოთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მუშაობის ინდივიდუალური მანერა და სტილი.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სტილის მეტნაკლები სისრულით გათვალისწინება არა მარტო ერთი მკვლევრის, არამედ მკვლევართა თაობების კომპლექსური შესწავლის